სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030629701180720

01 / აპრილი / 2020 წ. **თბილისი #06-74/ო**

ახალი კორონავირუსის (COVID -19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ახალი კორონავირუსის (COVID -19) შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების მიზნით,

ვბრძანებ:

1. სამსახურში არ გამოცხადდეს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი) დასაქმებული (მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით) პირი:
ა) რომელიც ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე ბოლო 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა ახალი კორონავირუსის (COVID -19) გავრცელების (ჯანმოს მიერ მაღალი რისკის ზონად ნომინირებული) არეებში, საქართველოში დაბრუნებიდან 14 დღის განმავლობაში;
ბ) რომელიც ამ ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ დაბრუნდება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან, – საქართველოში დაბრუნებიდან 14 დღის განმავლობაში;
გ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან ჩამოსულ პირთან ან მასთან ერთად მცხოვრებ პირთან;
დ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი (COVID -19);
ე) ქვეყნის ფარგლებში არსებულ საკარანტინო ზონაში ყოფნიდან 14 დღის განმავლობაში, გარდა ცენტრის ეპიდრაზმებისა, რომლებიც აღჭურვილი არიან სპეციალური ეკიპირებით;
ვ) რომელსაც აქვს ქრონიკული დაავადება/რაიმე სახის იმუნოდეფიციტი, − ცენტრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;
ზ) რომელიც არის ორსული ქალი;
თ) 70 წლის და მეტი ასაკის პირები.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა:
ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული 14 დღიანი პერიოდი გაატაროს თვითიზოლაციის წესების დაცვით;
ბ) სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზისა და რისკჯგუფში შემავალ პირთან კონტაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ცენტრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რომელიც ვალდებულია ეს ინფორმაცია დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს კონსტანტინე ოჩიგავას (ტელეფონი: 577 581 488, ელფოსტა: k.ochigava@ncdc.ge) და ადამიანური რესურსების მართვის და პროფესიული განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს თამარ ჟვანიას (ტელეფონი: 599 251 525, ელფოსტა: t.zhvania@ncdc.ge).
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა იმავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიუთითოს შესაბამისი პირის ვინაობა და წარმოადგინოს მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა, შესაძლებლობის შემთხვევაში სამუშაო შეასრულოს დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად.
5. ეთხოვოს ცენტრში მყოფ ყველა პირს, დაიცვას ახალ კორონავირუსთან (COVID -19) დაკავშირებით ქვეყანაში მოქმედი რეკომენდაციები.
6. შეიზღუდოს სამსახურებრივი მივლინებები, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვავაში, შეთანხმდება ცენტრის გენერალურ დირექტორთან.
7. საგანგებო მდგომარეობის ვადით აიკრძალოს ცენტრის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებით 3-ზე მეტი პირის (მძღოლის ჩათვლით) გადაადგილება. მგზავრები უნდა განთავსდნენ მძღოლის უკანა მხარეს.
8. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე:
ა) გარდა ამ ბრძანების პირველი პუნქტისა, ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა საჭიროებისამებრ განსაზღვრონ დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულთა მუშაობის

დისტანციური განრიგი და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს კონსტანტინე ოჩიგავას (ტელეფონი: 577 581 488, ელფოსტა: k.ochigava@ncdc.ge) და ადამიანური რესურსების მართვის და პროფესიული განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს თამარ ჟვანიას (ტელეფონი: 599 251 525, ელფოსტა: t.zhvania@ncdc.ge);

ბ) აიკრძლოს ცენტრში ნებისმიერი საჯარო ღონისძიებების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით;

გ) ცენტრის ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს:

გ.ა) გარეშე პირთა დაშვებისა და გადაადგილების რეგულირება;

გ.ბ) ცენტრის მიერ დაკონტრაქტებული შპს „სი თი ეს ჯგუფის“ მიერ სველი წესით დალაგების ინტენსივობის გაზრდა.

9. ამ ბრძანების მოქმედების პერიოდში ცენტრში დასაქმებულ პირებს შეუნარჩუნდეთ შრომის ანაზღაურება.

10. ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალი კორონავირუსის (COVID -19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 26 მარტის #06-71/ო ბრძანება.

11. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე